შ.პ.ს. “დიდგორი-2011” “Didgori-2011” Ltd
საქართველო, ქ. თბილისი, სოფელი დიღომი, ს/კ 404901111. ტელ.: 551147980
Village Dighomi, Tbilisi, Georgia, I/d: 404901111. Tel.: 551147980

11.09.2019 წელი

ქ. თბილისში, ჯავახიშვილის ქუჩა №58ა-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციული ნაწილის

კორექტირებული პროექტი

საექსპერტო შეფასება

დირექტორი ნ. სილაგაძე

თბილისი 2019 წელი

საექსპერტო შეფასება

ექსპერტიზაზე განსახილველად წარმოდგენილია ქ. თბილისში, ჯავახიშვილის ქუჩა №58ა-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტის შემდეგი მასალები:

1. არქიტექტურული ნაწილი;
2. კონსტრუქციული ნაწილი;
3. საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა;

დამკვეთი: ბინათმშენებლობის ამხანაგობა "ჯავახიშვილი".

პროექტის ავტორები:

არქიტექტორი გივი გოგრიჭიანი;

კონსტრუქტორი ირაკლი ურუშაძე;

ექსპერტი კონსტრუქტორი ზაურ სილაგაძე.

კვლევითი ნაწილი

დაპროექტებული საცხოვრებელი სახლი შედგება ორი ბლოკისაგან. ბლოკი №1 ექვსსართულიანია ერთი მიწისქვეშა სართულით. ბლოკი №2 სამსართულიანია მიწისქვეშა სართულის გარეშე.

ბლოკი №1 გეგმაში სწორკუთხა ფორმისაა გაბარიტული ზომებით 19.47X9.41 მ. მაქსიმალური სიმაღლე მიწის ზედაპირიდან 21.45 მ.

ბლოკი №2 გეგმაში სწორკუთხა ფორმისაა გაბარიტული ზომებით 9.89X6.2 მ. სიმაღლე მიწის ზედაპირიდან 13.2 მ.

საპროექტო შენობას ორივე მხრიდან ესაზღვრება ორსართულიანი საცხოვრებელი სახლები, რომლებიც წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ნაგებობებს.

საპროექტო შენობის დაფუძნება გადაწყვეტილია ძირითად ქანებზე ბურღვა-დასატენი ხიმინჯების გამოყენებით, რომელთა შესრულება პროექტში მითითებულია ხელით, ვიბრაციული დატვირთვების გამორიცხვის მიზნით.

ჩატარებულია გავლენების ანგარიში და მიღებულია შესაბამისი საპროექტო გადაწყვეტები. კერძოდ, ჯავახიშვილის ქუჩა №58-ის მხრიდან შენობა მოცილებულია 3 მ-ით, ხოლო ჯავახიშვილის ქუჩა №56-ის მხრიდან ბლოკი №1-ის მთელ სიგრძეზე გათვალისწინებულია ბურღვა-დასატენი ხიმინჯები (შპუნტები) 600 მმ დიმატერით, რაოდენობა 7 ცალი.

შენობის მზიდ სისტემას წარმოადგენს რკინაბეტონის სივრცითი ჩარჩო კოლონების, რიგელებისა და გადახურვის ფილების ერთობლიობით. ანგარიში ჩატარებულია კომპლექსური პროგრამა Lira Sapr-ის გამოყენებით 8 ბალიანი სეისმოაქტივობისათვის, სადაც აჩქარება მიღებულია 0.77 მ/წმ^2.

საძირკველი წარმოადგენს ბურღვა-დასატენ ხიმინჯებს დიამეტრით 100 სმ და დაფუძნებულია ძირითად ქანებზე, მათში შეჭრით 1.5 მ. ხიმინჯები გაერთიანებულია რკინაბეტონის წიბოვანი ფილით (როსტვერკი) განიკვეთით 50(h)X40 სმ ფილის სისქესთან ერთად. ფილის სისქე 18 სმ.;

კოლონები – რკინაბეტონის სხვადასხვა კვეთის;

რიგელები – რკინაბეტონის სხვადასხვა კვეთის;

გადახურვის ფილები – რკინაბეტონის სისქით 18 სმ;

კიბეები – მონოლითური რკინაბეტონის ჩანებზე მოზაიკური საფეხურებით;

სახურავი – ბრტყელი, რულონური;

კედლების შევსება და ტიხრები – წვრილი საკედლე ბლოკე.

გამოყენებული მასალები: ბეტონი კლასით B25; არმატურა A500C და A240;

დასკვნა

წარმოდგენილი კონსტრუქციული ანგარიშისა და შესაბამისი მუშა ნახაზების ანალიზის საფუძველზე, მიღებული საპროექტო გადაწყვეტა სწორად არის შერჩეული, როგორც მომიჯნავე ნაგებობებთან მიმართებაში დაფუძნების თვალსაზრისით, ისე განსახორციელებელი ნაგებობის საერთო მდგარობის უზრუნველსაყოფად.

გამომდინარე აქედან, წარმოდგენილი ცვლილებები გავლენას ვერ ახდენს შენობის საერთო მდგრადობაზე.

ინჟინერ-კონსტრუქტორი ზ. სილაგაძე

გამოყენებული ლიტერატურა:

1. პნ 01.01-09 სეისმომედეგი მშენებლობა;
2. პნ 02.01-08 შენობებისა და ნაგებობების ფუძეები;
3. პნ 03.01-09 ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები.